პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 163 (7474)

23 აგვისტო 1983 წ. შაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ჭაბუკ ფეხბურთელთა პერსპექტივები

სსრკ ავშირის ალკკ ცენტრალური კომიტეტის მიერ დაწესებული „სიჭაბუკის თასის“ გათამაშება მეტად პრესტიჟული სპორტული ღონისძიებაა. საკავშირო მასშტაბის ამ შეჯიბრების სხვადასხვა ეტაპზე მონაწილეობენ მოზარდი ფეხბურთელები, რომლებიც დიდ გამოცდილებას იძენენ სხვა ქალაქებისა და რესპუბლიკების თანატოლებთან უშუალო ბრძოლაში. აქ ვლინდებიან ახალგაზრდა, პერსპექტიული ფეხბურთელები, რომლებიც შემდგომში გზას იკაფავენ დიდ ფეხბურთში, გვევლინებიან მაღალი კლასის ოსტატებად. მრავალი გამოჩენილი ფეხბურთელი ვიცით, რომელთა სპორტული დაოსტატების ერთ-ერთი ეტაპი სწორედ „სიჭაბუკის თასის“ მატჩები იყო.

საქართველოს გუნდებს არაერთხელ მოუპოვებიათ ეს მეტად საპატიო პრიზი. ჩვენი ფეხბურთელები თასის მფლობელები იყვნენ ზედიზედ 1968, 1969 და 1970 წლებში, შემდეგ — 1972 და 1973 წლებში. მათი გამარჯვებით ალინიშნა 1979 და 1981 წლების საკავშირო გათამაშებებიც, შარშან კი ჩვენმა გუნდმა II ადგილი დაიკავა და მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩა გამარჯვებულებს — უკრაინელებს.

ამასთან, ისიც უნდა ითქვას, რომ ამ შეჯიბრებებში საქართველოს ჭაბუკ ფეხბურთელებს არაერთხელ მოუპოვებიათ საუკეთესოთათვის დაწესებული ცალკეული პრიზები.

სასიხარულო ცნობა მოვიდა ახლაც ქ. ნალჩიკიდან, სადაც მიმდინარეობდა „სიჭაბუკის თასის“ 1983 წლის საკავშირო გათამაშება: ჩვენი ჭაბუკების ეს წარმატება მეტად სასიხარულოა, ეჭვი არაა, ამ გუნდიდან ჩვენს ოსტატთა კოლექტივებს სულ მალე შეემატებიან მაღალი კლასის, საიმედო ფეხბურთელები.

გუშინ რედაქციაში მოვიწვიეთ „სიჭაბუკის თასის“ რესპუბლიკური ნაკრების უფროსი მწვრთნელი, საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი ლ. ვერულიძე (ბათუმი) და ვთხოვეთ „ლელოს“ მკითხველთათვის მოეთხრო რესპუბლიკის ჭაბუკ ფეხბურთელთა ამ მიღწევაზე.

— სიჭაბუკის თასის საკავშირო გათამაშებაში, — თქვა მწვრთნელმა, — წლეულს მონაწილეობდნენ 1968-69 წლებში დაბადებული მოზარდები. ნაკრებში შევარჩიეთ თბილისის „ნორჩი დინამოელის“, ქუთაისის „განათლების“, სოხუმის „დინამოს“, ცხინვალის „განათლების“, თბილისის ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლის, ზუგდიდის „დინამოს“, ფოთის, საჩხერის, გაგრისა და ჭიათურის „განათლების“ ფეხბურთელები. ნაკრებს დიდად დაეტყო ის, რომ ვერ შევძელით ფეხბურთელთა მიწვევა თბილისის განათლების სამმართველოს საფეხბურთო სკოლიდან, მაგრამ ამ სკოლას თავისი მნიშვნელოვანი შეჯიბრება ჰქონდა და მისი დასუსტება მიზანშეწონილი არ იქნებოდა.

ჩემთან ერთად ნაკრების წვრთნას ხელმძღვანელობდნენ თბილისელი რ. გაგუა და ბათუმელი ნ. ჩხაიძე. ჭაბუკი ფეხბურთელები შარშან სექტემბერში შევარჩიეთ „სიჭაბუკის თასის“ რესპუბლიკური გათამაშების მატჩებში. ამ შეჯიბრებაში მონაწილე ყოველი გუნდის მწვრთნელები გვთავაზობენ თავიანთ კანდიდატებს, გათამაშების მსვლელობაში რესპუბლიკური სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოში თავს იყრის ცნობები ყველა პერსპექტიული ჭაბუკი ფეხბურთელის შესახებ, მათ ყურადღებით ვაკვირდებით, ვმოგზაურობთ სხვადასხვა ქალაქში, ვარჩევთ საიმედო მოთამაშეებს.

წლევანდელი საკავშირო გათამაშებისთვის მზადება 3 ეტაპად დაიყო. პირველ ეტაპზე შევარჩიეთ კანდიდატები, დეკემბერ-იანვარში გავმართეთ თამაშები, შემდეგ კი მონაწილეობა მივიღეთ შ. იამანიძის მემორიალზე გაგრაში. მეორე ეტაპზე, ეს უკვე მარტსა და აპრილში, გამოვედით კ. ლესელიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი თასის გათამაშებაში, რომელიც ასევე გაგრაში ჩატარდა. აქ დავხვეწეთ შემადგენლობა, კანდიდატთა რაოდენობა დავიყვანეთ 25-მდე. მესამე, დასკვნით ეტაპზე კი შეჯიბრებები გავმართეთ სოხუმსა და საჩხერეში, აქ უკვე საბოლოოდ შევარჩიეთ ნაკრების შემადგენლობა.

„სიჭაბუკის თასის“ საკავშირო ნახევარფინალური შეჯიბრება გაიმართა ჭიათურაში. აქ დავიკავეთ პირველი ადგილი, დავამარცხეთ თურქმენეთის (2:0), მოსკოვის (3:0), ესტონეთის (7:1), ყაზახეთის (3:0) გუნდები და ფრედ ვითამაშეთ ლიტველებთან (2:2). ეს იყო ივლისში. პირველი ადგილი დავიკავეთ ჩვენ, მოსკოველებმა — მეორე და ფინალში მონაწილეობისათვის გავემგზავრეთ ნალჩიკში (11-19 აგვისტო).

ფინალში სულ 6 გუნდი გამოდიოდა. ჩვენი პირველი მეტოქე იყო მოსკოვის ნაკრები. სულ მცირე ხნის წინ, ნახევარფინალში, მოსკოველებთან მოგებული გვქონდა ანგარიშით 3:0, ამიტომ ჩვენს ფეხბურთელებს საგანგებოდ ვაფრთხილებდით, რომ პირველი მატჩის იოლად მოგება სრულიადაც არ ნიშნავდა, რომ ისტორია გამეორდებოდა. მართლაც, ამ მატჩში მოსკოველები დაწინაურდნენ, მაგრამ საბოლოო გამარჯვება მაინც ჩვენ დაგვრჩა — 3:2. შემდეგ საკმაოდ იოლად დავამარცხეთ უზბეკეთის ნაკრები — 2:0 და ძალზე ძნელ ბრძოლაში ფრედ ვითამაშეთ უკრაინელებთან — 2:2. ეს მატჩი ჩატარდა შუადღისას, უმოწყალოდ ცხელოდა და როგორც ჩვენ, ისე მეტოქეებსაც ძალიან გაუჭირდათ. ვიგებდით, მაგრამ უკრაინელებმა ბოლო წუთზე შორი მანძილიდან დარტყმული ბურთით შეძლეს ფრის მიღწევა.

ამის შემდეგ ჩვენმა ბიჭებმა მართლაც შესანიშნავად ითამაშეს სომხეთის ნაკრებთან და დამაჯერებლადაც გაიმარჯვეს — 4:0.

დასკვნითი მატჩი გვქონდა რსფსრ-ს გუნდთან. მართალია, ამ მატჩში ქულაც გვყოფნიდა და თასსაც ჩვენ ვეუფლებოდით, მაგრამ ჩვენი ფეხბურთელები თავიდანვე განვაწყეთ მხოლოდ გამარჯვებისთვის და, უნდა ითქვას, მთელი კოლექტივი უკიდურესად მობილიზებული გამოვიდა მინდორზე. საქმე ისაა, რომ რსფსრ-ს გუნდს რომ მოეგო, ისიც ჩვენსავით 7 ქულას არგოვებდა და უპირატესობას ღებულობდა უშუალოდ ჩვენთან შეხვედრაში გამარჯვებისთვის. ამიტომ იყო, რომ ვიბრძოლეთ მხოლოდ მოგებისთვის. 50-ე წუთისთვის ანგარიში იყო 4:0 ჩვენს სასარგებლოდ. რა თქმა უნდა, ეს უკვე გამარჯვებას ნიშნავდა, მოგებას ხელიდან აღარ გავუშვებდით, ამიტომ შესაძლებლად მივიჩნიეთ თამაშში მონაწილეობის უფლება მიგვეცა ყველა ჩვენი ჩვიდმეტივე ფეხბურთელისთვის. მატჩი მოვიგეთ ანგარიშით 4:1.

ფინალში სულ 5 მატჩი ჩავატარეთ, 4 მოვიგეთ, 1 ფრედ დავამთავრეთ და 9 ქულით (ბურთები სხვაობა 15-5) დავიკავეთ პირველი ადგილი. II ადგილზე 5 ქულით გავიდა რსფსრ-ს ნაკრები, ხოლო მესამე დაიკავა სომხეთის ნაკრებმა — 4 ქულა.

ნალჩიკის ფინალურ შეჯიბრებას ესწრებოდა ჭაბუკ ფეხბურთელთა საკავშირო ნაკრების უფროსი მწვრთნელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი გ. ლოგოფეტი. საკავშირო ნაკრებისთვის ჩვენი გუნდიდან მან შეარჩია 8 ფეხბურთელი: მეკარე ნ. ჩხეიძე (საჩხერე), მცველები — მ. შანიძე (ქუთაისი), ზ. ბენიძე (გაგრა), ა. კულუმბეგოვი (თბილისის „ნორჩი დი-

(დასასრული მე-3 გვ.).

• • •



ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის „სიჭაბუკის თასის“ მფლობელი — საქართველოს ნაკრები; ფინალური ტურნირის მთავარი მსაჯი ა. კრავჩენკო (მოსკოვი) „სიჭაბუკის თასს“ გადასცემს საქართველოს ნაკრების კაპიტანს; ჩვენი გუნდის კაპიტანი ა. კულუმბეგოვი პრიზით ხელში.

გაიხსნა...

21 აგვისტოს თბილისის ჭადრაკის სასახლეში საზეიმოდ გაიხსნა გამოჩენილი ქართველი მოჭადრაკის ვ. გოგლიძის ხსოვნის ტრადიციული VI საერთაშორისო მემორიალური ტურნირი.

სალამო გახსნა შეჯიბრების საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ, საქართველოს კომპარტიის თბილისის კიროვის რაიკომის პირველმა მდივანმა ლ. ლომიძემ.

მონაწილეებს მიესალმნენ მსოფლიოს ექსჩემპიონი, დიდოსტატი ნ. გაფრინდაშვილი და ვ. გოგლიძის მეგობარი მწერალი-დრამატურგი ი. ბეგიაშვილი. უცხოელ მოჭადრაკეთა სახელით სიტყვა წარმოთქვა ი. ადამსკიმ, საბჭოთა მოჭადრაკეების სახელით — ე. გუფელდმა.

მემორიალის მთავარმა მსაჯმა, საერთაშორისო არბიტრმა თ. გიორგაძემ დამსწრეთ წარუდგინა შეჯიბრების მონაწილენი და მსაჯთა კოლეგია. შემდეგ გააცნო მემორიალის პირობები, რეგლამენტი და წილისყრა ჩაატარა.

აი, როგორ განლაგდნენ მონაწილენი სატურნირო ცხრილში:

1. საერთაშორისო ოსტატი ი. ადამსკი (პოლონეთი), 2. ოსტატი გ. გიორგაძე, 3. ოსტატი ლ. ოლი (ტალინი), 4. საერთაშორისო ოსტატი ზ. სტურუა, 5. საერთაშორისო ოსტატი ე. მნაცაკანიანი (ერევანი), 6. საერთაშორისო ოსტატი ხ. კიარნერი (ტალინი), 7. ოსტატი ვ. გავრიკოვი (ვილნიუსი), 8. საერთაშორისო ოსტატი გ. ზაიჩიკი, 9. საერთაშორისო ოსტატი ნ. მურშედი (ბანგლადეში), 10. საერთაშორისო ოსტატი ე. უბილავა, 11. საერთაშორისო ოსტატი ი. ფოიშორი (რუმინეთი), 12. საერთაშორისო დიდოსტატი ბ. გურგენიძე, 13. საერთაშორისო დიდოსტატი რ. ჰენლი (აშშ), 14. საერთაშორისო დიდოსტატი ე. გუფელდი, 15. საერთაშორისო ოსტატი ს. ველიჩკოვიჩი (იუგოსლავია), 16. საერთაშორისო დიდოსტატი ხ. ნოგეირასი (კუბა).

გამოცხადდა სააპელაციო ჟიურის შემადგენლობა: საქართველოს სპორტკომიტეტის ჭადრაკის განყოფილების გამგე, საერთაშორისო არბიტრი გ. გაჩეჩილაძე (თავმჯდომარე), ი. ადამსკი და ხ. კიარნერი.

საზეიმო გახსნას ესწრებოდნენ ვ. გოგლიძის ოჯახის წევრები და მეგობრები.

გუშინ

მემორიალმა სტარტი აიღო. გაიმართა I ტურის შეხვედრები. სტურუამ დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხა ამერიკელი ჰენლი. ლამაზი კომბინაციური იერიშით, 23 სვლაში გუფელდმა მოუგო ოლს. უბილავამ წააგო გავრიკოვთან. ყაიმზე შეთანხმდნენ ადამსკი და ნოგეირასი.

სამი პარტია გადაიდო. გიორგაძეს ზედმეტი პაიკი აქვს ველიჩკოვიჩთან, გურგენიძეს ხარისხი აკლია მნაცაკანიანთან. მწვავე პოზიციაში გადაიდო კიარნერ — ფოიშორის პარტია. არ შედგა ზაიჩიკ — მურშედის შეხვედრა.

დღეს, 23 აგვისტოს გაიმართება II ტურის პარტიები. ერთმანეთს შეხვდებიან: ველიჩკოვიჩი — ოლი, გუფელდი — სტურუა, ჰენლი — მნაცაკანიანი, გურგენიძე — კიარნერი, ფოიშორი — გავრიკოვი, უბილავა — ზაიჩიკი, ადამსკი — გიორგაძე და ნოგეირასი — მურშედი.

რეკორდები

ლვოვი, 20 აგვისტო. პნევმატური პისტოლეტით 10 მეტრზე სროლაში ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა ვილნიუსელმა სნაიპერმა ვ. ტურლამ. მან 591 ქულა მოაგროვა. ეს შედეგი უკეთესია მისსავე მსოფლიო რეკორდზე, რომელიც მან დაამყარა კარაკასის 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე.

კარაკასი, 22 აგვისტო. 100 მეტრზე გულაღმა ცურვაში მსოფლიოს ახალი რეკორდი, 55,19 წამი, დაამყარა ამერიკელმა მოცურავემ რიკ კერიმ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს რეგბის ფედერაციის პრეზიდიუმის თავმჯდომარე

ალექსანდრე ილიას ძე ბუაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საბჭოთა ალპინიზმის 60 წლისთავისთვის



მოვლენათა ქრონიკა

1923-1933 წლები

მყინვარწვერიდან დაბრუნებული პირველი საბჭოური ასვლის მონაწილეები პროფესორ გიორგი ნიკოლაძის მეთაურობით გერგეტის მყინვარზე შეხვდნენ მეორე ქართულ ჯგუფს, რომელსაც სათავეში ედგა პროფესორი ალექსანდრე დიდებულიძე, მათაც დალაშქრეს მყინვარწვერი. მწვერვალზე ავიდნენ ყაზბეგის რაიონის მკვიდრნიც — გახა წიკლაური და ტარასი ზაგაშვილი, აგრეთვე სტუდენტები ამავე რაიონიდან: ანდრია იოფაძე, ვალენტინ თულაშვილი და ალექსანდრა ჯაფარიძე, რომელიც შემდეგ საქვეყნოდ ცნობილი მთამსვლელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი გახდა.

დიდებულიძის ჯგუფი წარმოადგენდა საქართველოს გეოფიზიკური ობსერვატორიის პირველ სამეცნიერო ექსპედიციას, რომელიც ლაშქრობისას იკვლევდა მყინვარწვერის მიდამოების მეტეოროლოგიურ, მაგნიტოლოგიურ, გლაციოლოგიურ და ტოპოგრაფიულ საკითხებს. ექსპედიცია ექიმ იოსებ ასლანიშვილის ხელმძღვანელობით სწავლობდა მთის სნეულებებს.

ექსპედიციამ 8 დღის მანძილზე დიდძალ მეცნიერულ მასალას მოუყარა თავი. საერთოდ, საბჭოთა ალპინიზმის პირველი ათწლეული განსაკუთრებით ხასიათდებოდა სამეცნიერო კვლევა-ძიებით.

ამ ათწლეულში ბევრი ასვლა განხორციელდა კავკასიონზე. ჩვენმა მთამსვლელებმა პირველებმა საბჭოთა სპორტის ისტორიაში გაკვალეს ახალი ბილიკები. ამჯერად კი მხოლოდ მნიშვნელოვან მომენტებზე შევჩერდებით..

მყინვარწვერზე პირველი ორი ქართული ექსპედიციის წევრები საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების დამფუძნებელნი გახდნენ. 1924 წლის 18 ივნისს საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოება დაარსდა, ხოლო ერთი თვის მერე ჩამოყალიბდა საზოგადოების მთასვლა-მგზავროსნული განყოფილება, რომლის თავმჯდომარედ გიორგი ნიკოლაძე აირჩიეს.

მომდევნო 1925 წლის 12 აგვისტოს გიორგი ნიკოლაძის მეთაურობით მთამსვლელებმა მოაწყვეს მასობრივი ასვლა კავკასიონის უმაღლეს მწვერვალ იალბუზზე. მწვერვალზე 19 ახალგაზრდამ, მათ შორის იმ ხუთმა ქალმაც (მარიამ ბეჟანიშვილი, ელენე ლორთქიფანიძე, ასმათ ნიკოლაიშვილი, მარიამ ტყავაძე და ლიდა ჩხეიძე) შედგა ფეხი, რომლებმაც მყინვარწვერი დალაშქრეს.

28 აგვისტოს მყინვარწვერზე ხელმეორედ ავიდა თერთმეტკაციანი სამეცნიერო ექსპედიცია ალექსანდრე დიდებულიძის მეთაურობით. ექსპედიციამ მწვერვალზე აიტანა მეტეოროლოგიური ბუდრუგანა, რამაც დასაბამი მისცა მაღალმთიანეთის მეტეოროლოგიურ გამოკვლევას კავკასიონზე.

შემდგომში, 1933 წელს, მყინვარწვერის ფერდობებზე 3057 მეტრ სიმაღლეზე აიგო მეტეოსადგური, რომელიც დღესაც დიდ სამსახურს უწევს ჰიდრომეტეოროლოგიურ და გლაციოლოგიურ მეცნიერებას, მთამსვლელებს...

ეს მეტეოსადგური სსრ კავშირში სიმაღლით მესამეა იალბუზზე (4250 მ.) და ფედჩენკოს მყინვარზე (4220 მ) მოწყობილ სამთო-მეტეოროლოგიური სადგურების შემდეგ.

ქართული ალპინიზმის პირველ ათწლეულში ძალზე მნიშვნელოვანი იყო 1927 წელი, როცა საქართველოში სამხედრო ტურიზმი დაინერგა, რამაც შემდგომ დიდი როლი შეასრულა დიდ სამამულო ომში კავკასიის დაცვისათვის ბრძოლაში.

1929 წელს თეთნულდზე ასვლისას დაიღუპნენ იმ დროისათვის უკვე სახელმოხვეჭილი მთამსვლელები სიმონ ჯაფარიძე და პიმენ დვალი.

პიმენს თეთნულდის ფერდობზე ფეხი დაუსხლტა. სიმონმა სცადა მეგობრის გადარჩენა, მაგრამ ვერ შეძლო და ორივე გადაიჩეხა.

მათთან ერთად იყო გიორგი ნიკოლაძეც, რომელმაც მეგობრების დაღუპვა ასე აღწერა: „პიმენი, სიმონი, ორი წერაყინი და დროშა— ყველაფერი ყინვარის ძაბრში ჩავიდა, მარცხნივ გადაუხვია და ჩემი მხედველობიდან მიიმალა, უცებ ყოველგვარი ხმაურობა შეწყდა და დავრჩი მარტოდმარტო იმ ყინულისა და სიკვდილის სამეფოში".

ტრაგედიის შემდეგ ბევრმა ალპინისტმა ზურგი შეაქცია მთებს. რამდენიმეღა დარჩა, რომლებმაც მტკიცედ ამოიჩრეს გულში თეთნულდზე ასვლა.

ალიოშა ჯაფარიძის სიტყვები:

„თეთნულდი... რაოდენი მღელვარება და განცდები გამოუწვევია მას მოგზაურთა და, კერძოდ, ალპინისტთა შორის ჯერ კიდევ მის კალთებზე მომხდარ კატასტროფამდე (?!) ადგილობრივ მცხოვრებთაც კი განსაკუთრებული შეხედულება ჰქონდათ თეთნულდის შესახებ. არავის სჯეროდა ადამიანის ასვლა მის მწვერვალზე. ძველი თაობა სვანეთში იმასაც კი ფიქრობდა, რომ მის წვერზე რაღაც ზეციურ ძალთა სავანე არისო თითქოს, რომელთაც არ სურდათ ვინმეს შეებილწა წმინდა მწვერვალი თავისი ასვლით, ვინმეს დაერღვია აქ მათი მყუდროება. სწორედ ამ ძალებმა დასაჯესო სასტიკად სიმონი და პიმენი მათი უჩვეულო განზრახვისა და გამბედაობისათვის. სწორედ ამ ძალებმა გამოიწვიესო 1930 წლის ზამთარში თეთნულდის კალთებზე „ჯერ არნახული" სიძლიერის ზვავი, რომლის ხმამ მესტიამდეც კი მიაღწია. მის თოვლიან კონუსის თეთრ საბურს ქვეშ გაშიშვლდა შავი კლდე [illegible] ზეციური ძალა რისხვაა იმათ დასამინებლად, ვინც ჯაფარიძეს წაბაძავს და მოიწადინებს თეთრი მთის ფეხით შეხებას"-ო.

ასე ფიქრობდა და ამბობდა ძველი სვანეთი. და მაინც 1931 წელს თეთნულდი დანებდა სიმონ ჯაფარიძის და-ძმას — ალექსანდრასა და ალიოშას, იაგორ კაზალიკაშვილსა და ადსილ ავალიანს.

კიდევ ერთი წლის მერე მყინვარწვერზე დაიღუპა შოთა მიქელაძე, რომელიც მწვერვალზე მანამდე უვალი, ყველაზე ძნელი გზით ადიოდა მეგობრებთან ერთად.

ამბობენ, მთაში მთამსვლელი რომ დაიღუპება, ეს სხვებს აფრთხობს და მწვერვალებს ზურგს შეაქცევინებსო. მიქელაძის დაღუპვამ, პირიქით, სარბიელზე გამოიყვანა მისი უახლოესი მეგობარი კაკო მარი, რომელმაც მტკიცედ გადაწყვიტა ამხანაგის დაწყებული გზის გაგრძელება. და აი 1932 წლის 3 სექტემბერს კაკო მარმა ასმათ ნიკოლაიშვილთან, დავით წერეთელთან და იაგორ კაზალიკაშვილთან ერთად მყინვარწვერზე ფეხი შედგა მანამდე უვალი, ყველაზე მოკლე, მაგრამ ყველაზე რთული გზით — „გველეშაპის" კლდის გავლით.



პირველ ათწლეულში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ცენტრალურ შხარაზე (5180 მ.) ასვლა სანდრო გვალიას მეთაურობით. მათ მწვერვალს დისხუს თოვლ-ყინულოვანი ველის გავლით მიაღწიეს. ეს იყო პირველი საბჭოური ასვლა გოროზ შხარაზე.

იმავე 1933 წელს სანდრო გვალიას ჯგუფი პირველი ავიდა სამხრეთ შხარაზე, ნამურუყვამზე... ამ დროიდან მოყოლებული ჩვენი მთამსვლელები უსახელო მწვერვალებს არქმევენ ქართველ მოღვაწეთა სახელებს. სვანეთში ერთ-ერთ მწვერვალს სანდრო გვალიას ჯგუფმა დიდი ქართველი გეოგრაფის ვახუშტის სახელი უწოდა...

პირველ ათწლეულში განსაკუთრებით საინტერესო იყო ტიან-შანის მრისხანე მწვერვალ ხან-თენგრიზე და პამირში ჩვენი ქვეყნის უმაღლეს მწვერვალ კომუნიზმის პიკზე ლაშქრობა.

ეს ორი ასვლა საბჭოთა ალპინიზმის ისტორიაში ოქროს ასოებით ჩაიწერა.

ხან-თენგრის დალაშქვრა იმ დროს წარმოუდგენლად მიაჩნდათ. და მაინც 1931 წელს ხან-თენგრიზე უკრაინის წარმომადგენლები მ. პოგრებეცკი, ფ. ზაუბერი და ბ. ტიურინი ავიდნენ.

კომუნიზმის პიკზე 7380 მეტრის მერე ეულად განაგრძო გზა სახელგანთქმულმა ევგენი აბალაკოვმა და მწვერვალზე ავიდა.

ამავე ექსპედიციის მეორე ჯგუფმა, რომელშიც ჩვენი თანამემამულე დ. წერეთელიც იყო, გამოიკვლია პეტრე პირველის ქედის ჩრდილოეთი ფერდობები.

ა. გურასაშვილი,
(საქინფორმი).

● ● ●

სურათებზე: მყინვარწვერი, თეთნულდი.

ავტორის ფოტოები.

ალპიურ ბანაკ „ალა-არჩიდან" ტიან-შანის მწვერვალებზე იერიში მიაქვთ ყირგიზ, ყაზახ, რუს, ტაჯიკ, უკრაინელ და სხვა რესპუბლიკების მთამსვლელებს. ტიან-შანის ხშირი სტუმრები არიან ბულგარელი, პოლონელი, ჩეხოსლოვაკიელი, იაპონელი და ამერიკელი ალპინისტები.

სურათზე: მორიგი ექსპედიცია ტიან-შანზე.

საპდესის ფოტო.

რბენის ბედნიერ ტყვეობაში

თვალში მოგხვდებათ მაისურების, ტრუსების, ქუდების სიჭრელე. თითქმის 6000 ადამიანი მხარდამხარ დგას სტარტზე — რბენისთვის, გამარჯვებისთვის მომზადებული. დავიწყებულია ყველაფერი — საქვებთან თუ რთულ ვარჯიშთან დაკავშირებული სიძნელეები. ოჯახური უსიამოვნებებიც კი. წინ ტრასაა, რბენის პოეზია, მოძრაობის დიდი ძალა, რწმენა და იმედის გაცრუება. რას იზამ? რბენა — ეს ცხოვრებაა და მასში ყველაფერი ისეა, როგორც ცხოვრებაში, ზოგი წინაა, ზოგი — უკან.

შესანიშნავი ამინდია. ლუჟნიკის ოლიმპიური სტადიონი სავსეა მაყურებლით. პისტოლეტის გასროლა და სტარტის ადგილიდან, ლენინის ძეგლთან ჯგუფი ძლიერად, ენერგიულად გაიჭრა ფრუნზეს სახელობის სანაპიროზე. ათ წუთში ხალხის მდინარე გაიშალა, გაგრძელდა და უკვე მისმა მეთაურმა ნაწილმა გადაკვეთა ქვის ხიდი, გავიდა სანაპიროს საპირისპირო მხარეს, გორკის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალურ პარკთან, კიევის ვაგზალთან. აქ დისტანციის ნახევარია. ათასობით მოსკოველი და დედაქალაქის სტუმარი ინტერესით ადევნებს თვალს ბრძოლის პერიპეტიებს, ამხნევებს სპორტსმენებს. საზღვარგარეთელი მორბენლები ძალზე მონდომებული არიან. აი, გაირბინა დიდტანიანი შვედების ჯგუფმა, წინ გაიჭრა მორბენლის ვეებერთელა ფიგურა, რომელსაც ინგლისის ეროვნული დროშის მსგავსი ქსოვილისაგან შეკერილი მაისური აცვია. ორი მორბენალი ენერგიულად „მუშაობს" იდაყვებით, ერთი ეუბნება მეორეს: „მოითმინე, ჰანს!" ამ დროს სამმა გამხდარმა გოგონამ სრულიად იოლად გაასწრო მათ. დიახ! ძნელია დიდი მარათონის გზა, ოლიმპიურისა კი — ორმაგად უფრო ძნელი. ტრასასთან დაკავშირებული ისტორია კი ასეთია: 1908 წელს ლონდონის IV ოლიმპიურ თამაშებზე მარათონელთა სტარტი მისცეს უინძორის კოშკთან, რომელიც ოლიმპიური სტადიონიდან სრულიად შემთხვევით 26 მილისა და 385 იარდის (42 კმ და 195 მ) სიგრძის აღმოჩნდა. ასეთი იყო თხოვნა მეფის ოჯახის ერთი წევრისა, რომელიც მძიმედ იყო ავად და უნდოდა ენახა როგორ სტარტს იღებდნენ მარათონელები.

...იტალიელმა მცხობელმა დორანდო პიეტრიმ პირველმა მოირბინა ლონდონის სტადიონის ბილიკზე. უკან იყო 55 მონაწილე, წინ კი — მხოლოდ 195 მეტრი და გამარჯვება. მაგრამ იტალიელს უკვე აღარ ესმოდა რას აკეთებდა — ძალზე დიდი იყო დატვირთვა. მსაჯებმა მას ფინიშის მიმართულება აჩვენეს, პიეტრიმ კიდევ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და დაეცა. მას დისკვალიფიკაცია მისცეს. გაიმარჯვა ამერიკელმა ჰეიესმა. ბედნიერი, გახარებული ჰეიესი საპატიო წრის შემოვლის დროს ფიქრობდა: „იმარჯვებს ის, ვინც უკეთაა მომზადებული და სჯერა გამარჯვებისა".

1924 წელს პარიზის VIII ოლიმპიურ თამაშებზე დისტანციის ეს სიგრძე სტანდარტად დაამტკიცეს. და იმ დღიდან ძალაშია. მას ეწოდა „დიდი მარათონი", უკვდავი ფიდიპიდის მიერ დაპყრობილ დისტანციის წინა სიგრძეს, 40 კმ-სა და 200 მ-ს კი— „მცირე მარათონი"..

...ლუჟნიკის სტადიონზე კი ამ დროს ფინიშის ხაზი პირველმა გადაკვეთა უდმურტმა ლევ ხიტრმანმა. და მოსკოვის ახალი, რიგით მესამე ჩემპიონი გახდა. საინტერესოა, რომ ეს წოდება ჯერ არც ერთ მოსკოველს არ მოუპოვებია.

მოსკოვის საერთაშორისო მარათონ-83-ში მონაწილეობდნენ საქართველოს წარმომადგენლებიც, როგორც სპორტსმენები, ისე ჩვენი ქალაქის რბენის მოყვარულთა კლუბების წევრები. ჩვენი თხოვნით მოსკოვის მარათონის დირექტორმა, სპორტის საპატიო მსაჯმა ვლადიმერ ოტკალენკომ ასეთი კომენტარი გაუკეთა ჩვენი მორბენლების გამოსვლას:

— იმედს გამოვთქვამ, რომ მოსკოვის 1984 წლის მარათონში თბილისელი რბენის მოყვარულები უფრო აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ და რიცხობრიობით თქვენს „კუს" გაეჯიბრებიან. — იუმორით თქვა მან. — ბედნიერ სტარტებს გისურვებთ, მეგობრებო!

ჩვენ კი დავუმატებთ; მარათონში მონაწილეობის მსურველთა განცხადებები მიიღება 1984 წლის 3 იანვრიდან. განცხადებები და სასტარტო შესატანის (10 მანეთის ფარგლებში) ქვითრები უნდა გაგზავნოთ მისამართით: 101000, მოსკოვი, მარხლევსკის ქ. № 18. მარათონ-84-ის საორგანიზაციო კომიტეტი.

ვ. როსი,
მოსკოვის საერთაშორისო მარათონის მონაწილე, „ლელოს" სპეც. კორ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხბურთი - 83 ფეხბურთი - 83 ფეხბურთი - 83 ფეხბურთი - 83

უმაღლესი ლიგა

ტორპედოელები აგროვებენ ქულებს

კიშინიოვი. რესპუბლიკური სტადიონი. 21 აგვისტო.

„ნისტრუ" (კიშინიოვი) — „ტორპედო" (ქუთაისი) 1:2 (1:0).

„ნისტრუ": ჩებოტარი, ტეგლიაცოვი, კარასი, რიბაკი, სპელნიკოვი, ფლენტია (ბელი), სავჩენკო (ტურიანსკი), მაციურა, სპირიდონი, დუბროვინი, მარქარიანი.

„ტორპედო": გაბელია, კოხტავა, თევზაძე, ჭელიძე, კეტაშვილი, თავაძე, კორღალიძე (ბურკაძე), კვერნაძე, მეგრელაძე, გორგილაძე, ვასაძე (უგულავა).

მსაჯი ლ. აქსელევიჩი (მოსკოვი).

დუბლიორები — 2:0.

კიშინიოველ ფეხბურთელთა მდგომარეობა წლევანდელ ჩემპიონატში ძალზე მძიმეა, მაგრამ, ეტყობა, ისინი მაინც არ კარგავენ იმედს, სულ ახლახან მათ ბაქოში ქულა აიღეს „ნეფთჩისთან" შეხვედრაში, ამ დღეებში კი შეიცვალა გუნდის მთელი ხელმძღვანელობა — უფროსი მწვრთნელიც და გუნდის უფროსიც.

რა თქმა უნდა, იმედი დაკარგული არა აქვს ჩვენს გუნდსაც, ამიტომ აუტსაიდერთა ეს მატჩი აღინიშნა უაღრესად დაძაბული, მწვავე ბრძოლით.

პირველი 45 წუთის განმავლობაში ტერიტორიული უპირატესობა სტუმრების მხარეს იყო. ტორპედოელთა თავდამსხმელებმა რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნეს, ბურთის გატანის შესაძლებლობა ჰქონდათ ვასაძეს, გორგილაძეს, ხელიდან გაუშვა კარის აღების აშკარა შესაძლებლობა მეგრელაძემ, კიშინიოველები ეპიზოდურ კონტრიერიშებს ახორციელებდნენ და ერთ-ერთი ასეთი საპასუხო შეტევისას მარქარიანმა სწრაფი გარღვევით უკან ჩამოიტოვა „ტორპედოს" ორი მცველი, პირისპირ დარჩა გაბელიასთან და გაიტანა გოლი — 1:0.

შესვენების შემდეგ, დაახლოებით 15 წუთის განმავლობაში, ინიციატივა „ნისტრუს" ეპყრა. ამ მძიმე პერიოდში გაბედული, ოსტატური თამაშით გამოიჩინა თავი გაბელიამ, სრული დატვირთვით მოქმედებდნენ მცველებიც და როცა ტორპედოელებმა მასპინძელთა ეს შტურმი მოიგერიეს, თვით გადავიდნენ შეტევაზე. 62-ე წუთზე „ნისტრუს" საჯარიმო მოედანზე სწრაფად შეიჭრა კვერნაძე. მცველებმა კი იგი აკრძალული ილეთით წააქციეს. ლ. აქსელევიჩმა დანიშნა პენალტი, დარტყმა ზუსტად შეასრულა გორგილაძემ— 1:1.

გავიდა რამდენიმე წუთი და გორგილაძემ კვლავ გამოიჩინა თავი: „ტორპედოს" ერთ-ერთი იერიშისას მან კარგად შეარჩია მომენტი და შორი მანძილიდან ძლიერად დაარტყა — 2:1.

თამაშის დამთავრებას საკმაო დრო აკლდა, მასპინძლებმა ყველაფერი გააკეთეს წაგებისგან თავის დასაღწევად. ისინი ბევრს უტევდნენ, მაგრამ ტორპედოელთა მთელმა გუნდმა აქტიურად, მონდომებით ითამაშა, რამდენიმე ძნელი ბურთი მოიგერია გაბელიამ,

ეს მეტად საპასუხისმგებლო, ძნელი მატჩი ქუთაისის „ტორპედომ" მოიგო და დამსახურებულად მოიპოვა 2 ქულა.

მატჩის საუკეთესო მოთამაშეებად აღიარეს ა. გორგილაძე და ა. რიბაკი.

ბ. ნამიჭეიშვილი.

(ტელეფონით ჩვენი სპეც. კორ.).

ხანმოკლე შესვენების შემდეგ 20 და 21 აგვისტოს განახლდა სსრ კავშირის 46-ე საფეხბურთო ჩემპიონატი, გაიმართა 26-ე ტურის მატჩები:

„დინამო" მნ. — „ტორპედო" მ. 1:1
„ჟალგირისი" — ცსკა 2:1
„შახტიორი" — „მეტალისტი" 1:0
„დნეპრი" — „დინამო" კ. 2:1

• • •

გათამაშების ცხრილი

ძირითადი შემადგენლობანი

მდგომარეობა 23 აგვისტოსთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დნეპრი"	25	15	5	5	45—26	35
„დინ." მნ.	25	13	7	5	38—24	33
„სპარტ."	23	11	7	5	42—18	29
„ჟალგირ."	25	10	9	6	24—25	29
„შახტ."	25	13	2	10	39—29	28
„ჩერნომ."	24	12	4	8	31—27	28
„ფახთაქ."	24	10	8	6	28—20	28
„ზენიტი"	24	10	7	7	27—22	27
„დინ." კ.	24	9	7	8	25—28	25
„ტორპ." მ.	24	8	9	7	23—25	25
ცსკა	24	8	8	8	30—25	24
„არარ."	24	9	3	12	24—35	21
„მეტალ."	24	8	5	11	29—34	21
„ნეფთჩი"	24	7	7	10	23—27	21
„დინ." თბ.	24	7	4	13	33—39	18
„დინ." მ.	23	5	8	10	18—25	18
„ტორპ." ქ.	25	4	9	12	21—36	17
„ნისტრუ"	25	3	3	19	16—51	9

ჭაბუკ ფეხბურთელთა პერსპექტივები

დასასრული

ნამოელი"), ნახევარმცველები — ვ. რევიშვილი და ბ. ქაფიანიძე (თბილისის „ნორჩი დინამოელი") და თავდამსხმელები — პ. ლომიძე (თბილისის ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა) და მ. ფანცულაია (თბილისის „ნორჩი დინამოელი").

გ. ლოგოფეტის არჩევანი, რა თქმა უნდა, სწორია, მაგრამ ზემოჩამოთვლილთა გარდა აღვნიშნავ სხვა ფეხბურთელებსაც: ს. თარბას (სოხუმი), ა. ბეკოევს (ცხინვალი), ს. ეფრემიძეს (ფოთი), ე. კოღუაშვილს (ქუთაისი).

ტურნირის საუკეთესო მცველად მიიჩნიეს ა. კულუმბეგოვი, ხოლო პ. ლომიძემ რსფსრ-ს წარმომადგენელ ვ. პისკარიოვთან ერთად გაიყო საუკეთესო ბომბარდირის პრიზი.

საგანგებოდ აღვნიშნავ, რომ ჩვენი ნაკრების მზადებასა და შეჯიბრებებში წარმატებით გამოსვლისთვის დიდი დახმარება გაგვიწია რესპუბლიკური სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველომ, მწვრთნელებსა და ფეხბურთელებსაც საუკეთესო პირობებს გვიქმნიდნენ საერთო სამზადისშიც და უშუალოდ შეჯიბრების დროსაც.

აუცილებლად მინდა აღვნიშნო ერთი გარემოება: 1979 წლის „სიჭაბუკის თასის" საკავშირო ტურნირი გაიმართა ჩელიაბინსკში, ნაკრებს მაშინაც მე ვამზადებდი. იმ შემადგენლობიდან 5 ფეხბურთელი ახლა საქართველოს ოსტატთა გუნდებში გამოდის, მაგრამ მინდა ვთქვა, რომ ჩვენს გუნდში ამჟამად გაცილებით უფრო პერსპექტიული, უფრო კარგი მონაცემების ფეხბურთელებია, და ეჭვი არ მეპარება მათგან უახლოეს ხანებში მივიღებთ მაღალი კლასის ოსტატებს, მაგრამ, რასაკვირველია, თვით ამ ფეხბურთელებმაც და მათმა მწვრთნელებმაც საჭიროა დღენიადაგ, გულმოდგინედ, სისტემატურად ივარჯიშონ, ამ უდავოდ ნიჭიერმა მოთამაშეებმა დაუბრკოლებლად უნდა გაიკვალონ გზა დიდ ფეხბურთში.

და, ბოლოს, არ მინდა უყურადღებოდ დავტოვო კიდევ ერთი ამბავი: ნალჩიკის ფინალურ თამაშებზე საქართველოს ნაკრების მატჩებს ყველაზე მეტი მაყურებელი ესწრებოდა, მხარდაჭერა ტრიბუნებიდან არ გვაკლდა. რსფსრ-ს გუნდთან გადამწყვეტ მატჩში ერთ-ერთი პიონერული ბანაკიდან მოიყვანეს 400 ბავშვი და ისინი, პირველივე წუთებიდან, თავგამოდებით გვქომაგობდნენ, ყოველნაირად გვახალისებდნენ. ქართველ ჭაბუკთა თამაში მათ ძალიან მოსწონდათ.

24 აგვისტოს, თბილისის „დინამოსა" და ტაშკენტის „ფახთაქორის" საკავშირო ჩემპიონატის მატჩის შესვენებისას, თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონზე გაიმართება „სიჭაბუკის თასის" მფლობელ საქართველოს ნაკრების დაჯილდოება.

II ლიგა

IX ზონა

გასულ შაბათს გაიმართა II ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების 23-ე ტურის კალენდარული მატჩები:

„დილა" (გორი) — „შირაკი" (ლენინაკანი) 1:0, „ქიაფაზი" (კიროვაბადი) — „სპარტაკი" (ოქტემბერიანი) 3:1, „კოტაიკი" (აბოვიანი) — „დინამო" (სოხუმი) 4:1, „ოლიმპია" (არტაშატი) — „კოლხეთი" (ფოთი) 1:2, „მეშახტე" (ტყიბული) — „ხაზარი" (ლენქორანი) 3:1, „მერცხალი" (მახარაძე) — „ავტომობილისტი" (მინგეჩაური) 1:0, „კოლხოზჩი" (აშხაბადი) — „ყარაბახი" (სტეფანაკერტი) 1:0.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 23 აგვისტოსთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„კოლხოზ."	21	12	4	5	39—24	28
„კოტაიკი"	21	10	7	4	50—29	27
„დინ." ბ.	20	11	4	5	36—16	26
„დილა"	21	10	5	6	30—24	25
„მერცხ."	20	11	2	7	23—20	24
„ლოკომ."	20	10	4	6	27—12	24
„კოლხ."	20	9	5	6	31—22	23
„შირაკი"	20	9	3	8	31—26	21
„მეშახტე"	20	9	3	8	29—29	21
„ხაზარი"	21	7	7	7	25—29	21
„ქიაფაზი"	21	8	4	9	26—33	20
„სპარტ."	20	8	2	10	29—27	18
„ყარაბ."	20	8	2	10	21—22	18
„დინ." ს.	20	7	4	9	20—30	18
„არაზი"	19	4	4	11	20—39	12
„ავტომ."	21	3	5	13	16—41	11
„ოლიმპია"	21	2	5	14	19—49	9

საქართველოს თასზე

გაიმართა საქართველოს თასის მეთექვსმეტედფინალის მატჩები. ჭიათურის „მაღაროელმა" და თბილისის „შევარდენმა" ითამაშეს ფრედ — 1:1, დამატებითმა პენალტებმა წარმატება მოუტანა „შევარდენს", რომელმაც გაიმარჯვა საერთო ანგარიშით 10:9. ასევე დამატებითმა პენალტებმა გადაწყვიტა ხაშურის „ივერიისა" და თელავის „კახეთის" მატჩის ბედი. ძირითად და დამატებით დროში ბურთი არ გასულა — 0:0, 11-მეტრიანები უკეთ დაარტყეს ხაშურელებმა — 4:2.

სხვა მატჩები: „სამგორი" (გარდაბანი) — „არაგვი" (ქინვალი) — 1:2, „დინამო" (ზუგდიდი) — „სქური" (წალენჯიხა) 3:2, „დინამო" (გაგრა)—„საპოვნელა" (თერჯოლა) 1:2, „არმაზი" (მცხეთა) —„საირმე" (მაიაკოვსკი) 2:1, „თორი" (ბორჯომი) — „სპარტაკი" (თბილისი) 1:0.

ვანის „სულორს" გამარჯვება ჩაეთვალა ბოლნისის „მადნეულთან" ხოლო დმანისის „მაშავერას" — საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდთან.

24 აგვისტოს გაიმართება თასის მერვედფინალური მატჩები. ერთმანეთს ხვდებიან: „სამეგრელო" (ჩხოროწყუ) — „მეტალურგი" (ზესტაფონი), „შევარდენი" (თბილისი) — ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტი (თბილისი), „არაგვი" (ქინვალი) — „დინამო" (ზუგდიდი), „საპოვნელა" (თერჯოლა) — „არმაზი" (მცხეთა), „თორი" (ბორჯომი) — „ივერია" (ხაშური), „მაშავერა" (დმანისი) — „სულორი" (ვანი), „სამგურალი" (წყალტუბო) — „ავტომობილისტი" (თბილისი), „მეტალურგი" (რუსთავი) — „ეგრისი" (ცხაკაია).

პირველი წარმატება

კლაიპედა. ლიტვის ამ ქალაქში 21 აგვისტოს დაიწყო საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პრიზის ფინალური გათამაშება ახალგაზრდა ფეხბურთელთა შორის „იმედის თასზე".

პირველ ტურში საქართველოს ფეხბურთელთა მეტოქე იყო ლენინგრადის გუნდი. მატჩი მოიგო საქართველოს ნაკრებმა ანგარიშით 1:0.

ფინალური გათამაშების სტარტზე გაიმართა სხვა შეხვედრებიც: მოსკოვი — ყაზახეთი 3:0, ესტონეთი — ლიტვა 1:0.

„სპარტაკი" დაეუფლა პრიზს

ესპანეთის ქალაქ ხიხონში დამთავრდა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი ფეხბურთში, რომელშიც მონაწილეობდნენ ესპანეთის 2 კლუბი — „ატლეტიკო" (მადრიდი) და „სპორტინგი" (ხიხონი), გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის „კიოლნი" და მოსკოვის „სპარტაკი".

სპარტაკელები პირველად „სპორტინგს" შეხვდნენ და გაიმარჯვეს ანგარიშით 5:0 (2 ბურთი გაიტანა კუზნეცოვმა, თითო — რეზნიკმა, პოზდნიაკოვმა და გავრილოვმა).

ფინალში მოსკოველები შეხვდნენ მადრიდის „ატლეტიკოს" და დაძაბული ბრძოლის შემდეგ ეს შეხვედრაც მოიგეს — 2:1 (გამარჯვებულთაგან ბურთები გაიტანეს პოზდნიაკოვმა და რეზნიკმა). სპარტაკელები დაეუფლნენ საპატიო თასს.

გარდაიცვალა ა. ფრანკი

იტალიის ქალაქ სიენას მახლობლად საავტომობილო კატასტროფაში მოხვდა და გარდაიცვალა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი, ევროპის ფეხბურთის ასოციაციათა კავშირის პრეზიდენტი, იტალიელი არტემიო ფრანკი.

ა. ფრანკი 61 წლისა იყო. იგი ორჯერ აირჩიეს იტალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტად (1967 და 1976, 1978 და 1980 წლებში), შემდეგ კი იყო იტალიის ფეხბურთის ფედერაციის საპატიო პრეზიდენტი.

ფეხბურთი - 83 ფეხბურთი - 83 ფეხბურთი - 83 ფეხბურთი - 83

ყველა მედალი განაწილდა

იურმალაში დამთავრდა ჩოგბურთელთა ევროპის ჩემპიონატი, რომელშიც 9 ქვეყნის სპორტსმენები მონაწილეობდნენ. შეჯიბრების ბოლო დღეს ერთეულ ქალთა თანრიგში ოქროს მედალი მოიპოვა 17 წლის ლვოველმა ჩოგბურთელმა ლარისა სავჩენკომ. მან ფინალში დაამარცხა მოსკოველი სვეტლანა ჩერნევა — 6:2, 3:6, 6:3. ვაჟთა შორის უძლიერესი იყო 19 წლის ჩეხოსლოვაკიელი მიროსლავ მეჩირი, რომელმაც გადამწყვეტი შეხვედრა მოუგო იანოშ ბენიკს (უნგრეთი) — 6:2 6:2.

შერეულ წყვილთა შორის გაიმარჯვეს მოსკოველებმა — სვეტლანა ჩერნევამ და კონსტანტინ პუგაევმა. მათ ფინალში დაამარცხეს ილენა ელისეენკო (დონეცკი) და ვადიმ ბორისოვი (მოსკოვი) — 6:2, 6:3.

იუნიორთა პირად შეჯიბრებაში ევროპის ჩემპიონები გახდნენ ნატალია რევა (მოსკოვი) და კარელ ნოვაჩეკი (ჩეხოსლოვაკია).

მოზრდილთა შორის საბჭოთა ჩოგბურთელებმა ხუთიდან ოთხი ოქროს მედალი მოიპოვეს, წარმატებით გამოვიდნენ აგრეთვე იუნიორებიც, მაგრამ როგორც სსრ კავშირის ნაკრების მწვრთნელებმა აღნიშნეს, ამ ჩემპიონატმა პრობლემებიც წარმოაჩინა.

ჩემპიონი— ხარკოვიდან

ჰოლანდიის ქალაქ დევენტერში დამთავრდა ასუჯრიან შაშში ევროპის ვაჟთა ჩემპიონატი, რომელშიც 12 მოშაშე მონაწილეობდა.

ჩემპიონის სახელი მოიპოვა ახალგაზრდა ხარკოველმა ოსტატმა ვადიმ ვირნიმ — 9,5 ქულა.

ჩინებულია!

ამას წინათ დამთავრდა შეიარაღებულ ძალთა ჩემპიონატი გოგონებსა და მოზარდთა შორის, რომლებშიც ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ.

გოგონათა ჩემპიონატში გაიმარჯვა თბილისის 135-ე საშუალო სკოლის მერვე კლასის მოსწავლემ, ოსტატობის კანდიდატმა ცირა მერეკლიშვილმა — 8,5 ქულა 9-დან.

ჭაბუკთა შეჯიბრებაში შესანიშნავად იასპარეზა ოსტატობის კანდიდატმა გია ბალათუროვმა, რომელმაც ყველა 11 შეხვედრა მოიგო.

ორივე თბილისელი მოჭადრაკე მიწვეულია საბჭოთა არმიის ჩემპიონატში. ქალთა შეჯიბრება გაიმართება ნოემბერში მოსკოვში, ვაჟთა — ოქტომბერში, ბათუმში.

ჰ. არნშტეინი.

კვლავ მეორენი

ლონდონის „კრისტალ-პელისის" სტადიონზე დამთავრდა ევროპის თასის გათამაშება მძლეოსნობაში. ორი დღის ასპარეზობის შედეგად ევროპის თასი როგორც ვაჟთა, ისე ქალთა გუნდებს შორის, მოიპოვეს გდრ-ს სპორტსმენებმა. შესაბამისად 117 და 107 ქულა. სსრ კავშირის ნაკრებმა მოაგროვა ვაჟთა შორის 106, ქალთა შორის— 85 და ისევე როგორც თასის წინა გათამაშებაში მეორე ადგილი დაიკავა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლევიტინასა და გურიელის მონაწილეობით

სოჭში საზეიმოდ გაიხსნა დიდი საჭადრაკო ფესტივალი „როსია-83". მის პროგრამაში შედის ორი დიდი შეჯიბრება — მ. ჩიგორინის XVII მემორიალი და ქალთა XVIII საერთაშორისო ტურნირი.

ქალთა ტურნირში სასპარეზოდ მიწვეულია ქართველი დიდოსტატი ნინო გურიელი (მისი რეიტინგია 2225). შეჯიბრებაში მონაწილეობენ აგრეთვე დიდოსტატები, მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ნახევარფინალური მატჩის მონაწილე ი. ლევიტინა, ვ. კოზლოვსკაია, საერთაშორისო ოსტატები ტ. ჩეხოვა, ლ. ზაიცევა (ყველა — სსრ კავშირი), ა. ბრუსტმანი (პოლონეთი), ი. ბროდერი (გფრ), ვ. ჟივკოვიჩი (იუგოსლავია), გ. ბაუმშტარკი (რუმინეთი), რ. ბოიაჯევა (ბულგარეთი), ვ. რამონი (კუბა) და სხვა.

ძლიერმა შემადგენლობამ მოიყარა თავი ვაჟთა საერთაშორისო ტურნირში. აქ არიან დიდოსტატები ე. გელერი, ო. რომანიშინი, ა. პანჩენკო, ვ. ცეშკოვსკი, ს. მაკარიჩევი, ე. სვეშნიკოვი (ყველა — სსრ კავშირი), ბ. ივკოვი (იუგოსლავია), ვ. ინკევი (ბულგარეთი), მ. შუბა (რუმინეთი), საერთაშორისო ოსტატები, მსოფლიო ჩემპიონი ჭაბუკთა შორის ა. სოკოლოვი (სსრ კავშირი), ე. მედუნა (ჩეხოსლოვაკია) და სხვა.

ფესტივალის გახსნას დაესწრნენ სსრ კავშირის საჭადრაკო ფედერაციის თავმჯდომარე, მფრინავი-კოსმონავტი, საბჭოთა კავშირის ორგზის გმირი ვ. სევასტიანოვი და მსოფლიოს ექსჩემპიონი მ. ტალი, რომელმაც მოყვარულთათვის ერთდროული თამაშის სეანსი ჩაატარა 26 დაფაზე.

უშეღავათო „დუელი"

გფრ-ის ღია ჩემპიონატის მონაწილეებმა XII და XIII ტურების შეხვედრები გამართეს.

მსოფლიო ჩემპიონი ა. კარპოვი ყაიმს დასჯერდა საერთაშორისო ოსტატ კ. ოსტერმაიერთან და მოუგო საერთაშორისო ოსტატ ცი ცზინგუანს (ჩინეთი). თამაზ გიორგაძემ ზედიზედ დაამარცხა არგენტინელი დიდოსტატი მ. კინტეროსი, ოსტატი გ. ბასტიანი (გფრ) და კვლავ დაწინაურდა.

13 ტურის შემდეგ თბილისელ დიდოსტატს 10 ქულა აქვს, ა. კარპოვს ნახევარი ქულით ნაკლები.

გასამართავია კიდევ ორი ტური. XIV ტურში კარპოვი და გიორგაძე შეხვდებიან ერთმანეთს. XV ტურში კარპოვის მეტოქე იქნება ბუაზიზი (ტუნისი), გიორგაძის — ოსტერმაიერი.

● ჭადრაკი

ცხოვრება ვიქტორ გოგლიძისა

2. ნიჭის გამოსხივება

20-იანი წლების მეორე ნახევარში თბილისში დუღდა საჭადრაკო ცხოვრება, რასაც ჭეშმარიტი ენთუზიასტები უწყობდნენ ხელს. ისინი გულწრფელად და საქმიანად გამოეხმაურნენ მოწოდებას „მივცეთ ჭადრაკს ფართო გზა", რომელიც სსრ კავშირში პირველ საერთაშორისო ტურნირს (1925 წ. მოსკოვი) მოჰყვა. ქალაქში რამდენიმე ადგილას გაიხსნა პატარა საჭადრაკო კლუბი. სცადეს თბილისის ვაჟთა პირველი ჩემპიონატის გამართვაც. გაზეთ „ზარია ვოსტოკაში" გამოჩნდა საჭადრაკო განყოფილება ოსტატ გ. ლევენფიშის რედაქტორობით (განყოფილებამ 1927 წლამდე იარსება). საერთო აღმავლობას იუგოსლავიელი დიდოსტატის ბ. კოსტიჩის სტუმრობამაც (გამოსვლამ, ერთდროული თამაშების სეანსებმა) ბიძგი მისცა.

სწორედ ამ დროს (1925 წ. ივლისი) თბილისში ჩამოვიდა ვიქტორ გოგლიძე. იგი მთელი არსებით ჩაება საერთო ფერხულში და თავისი ძლიერი თამაშით სწრაფად მიიქცია ყურადღება. გამოჩენილი ოსტატი და ეტიუდისტი ჰ. კასპარიანი იხსენებს, რომ ვიქტორმა ტოლი არ დაუდო იმდროინდელი თბილისის უძლიერეს მოჭადრაკეებს და მალე საერთო მოწონება დაიმსახურა. მოჭადრაკეებმა იგი თავიანთ ლიდერად აღიარეს, გულშემატკივრებმა კი — კერპად. ამ სიყვარულს ვიქტორი სიცოცხლის ბოლომდე გრძნობდა.

ვიქტორი, რომელმაც სპორტსაზოგადოება „დინამოში" ინსტრუქტორად დაიწყო მუშაობა (ამ თანამდებობაზე იგი 1935 წლამდე დარჩა), მხარში ამოუდგა ენთუზიასტებს (გ. ჩიკვაიძეს, გ. მერკვილაძეს, ი. ბლიაძეს, დ. სამუშიას, გ. ერისთავს, ა. პეტრაკოვსკის და სხვ.) და კიდევ უფრო გაამრავალფეროვნა საჭადრაკო მოძრაობა. იგი აქტიურად თანამშრომლობდა ჟურნალ-გაზეთებში. გაზეთმა „ახალგაზრდა კომუნისტმა" განყოფილება გაუხსნა თავის ფურცლებზე. ვიქტორი პრესის მეშვეობითაც ცდილობდა საყვარელი ხელოვნების პროპაგანდას.

1926 წელს თბილისში გაიმართა დიდი მასობრივი ტურნირი, რომლის თაოსნებმა (საქართველოს პროფსაბჭო, გაზეთი „ზარია ვოსტოკა") 600 კაცი მიიზიდეს. მოყვარულები თავიანთი ჭადრაკით მოდიოდნენ სასპაექროდ. ქალებში გაიმარჯვა ე. ზაუტაშვილმა, ვაჟებში — 16 წლის ჰ. კასპარიანმა, რომელიც შემდეგ თბილისის ერთ-ერთი უძლიერესი მოჭადრაკე გახდა.

ჭადრაკით საერთო გატაცებას ქართული ინტელიგენციის წარჩინებული წარმომადგენლებიც გამოეხმაურნენ. ქართული ჭადრაკის მომავალზე განსაკუთრებით ზრუნავდნენ ჩვენი სასიქადულო პოეტი პაოლო იაშვილი და მისი მეგობრები, ის „მფარველად" მოევლინა ვიქტორ გოგლიძეს.

1926 წელს გაიმართა თბილისის პირველი ჩემპიონატი, რომელშიც 16 უძლიერესი მოჭადრაკე მონაწილეობდა. ვიქტორს მხოლოდ ოსტატმა ა. სმოროდსკიმ (13 ქულა) გაასწრო ნახევარი ქულით. მათი პირადი შეხვედრა ყაიმით დამთავრდა.

კიდევ უფრო დაძაბული ბრძოლით აღინიშნა დედაქალაქის 1927 წლის ჩემპიონატი. მონაწილეთა შორის იყო კიეველი პირველთანრიგოსანი ნ. სოროკინიც, რომელმაც იმხანად თბილისში დაიდო ბინა. ამჯერად ვიქტორმა ნახევარი ქულით გაუსწრო სმოროდსკის, თუმცა, ერთადერთი წაგება მასთან განიცადა. 15 შეხვედრაში ქართველმა მოჭადრაკემ 11,5 ქულა მოაგროვა.

ვიქტორმა თბილისის ჩემპიონის ტიტული 1928 წელსაც შეინარჩუნა. ამავე წლის აპრილში პირველად მოეწყო საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატი. სასპარეზოდ მიწვეული იყო 8 უძლიერესი მოჭადრაკე: ვ. გოგლიძე, ნ. სოროკინი, ა. ებრალიძე, ი. ტალვიკი (ყველა — თბილისი), ვ. მედვედევი (ბათუმი), ა. ოგანეზოვი (ქუთაისი), ი. ფედოროვი (ფოთი) და ვ. კომაროვი (სოხუმი). I-II ადგილები გაიყვეს ვიქტორმა და სოროკინმა, რომლებმაც დაუმარცხებლად 6-6 ქულა მოაგროვეს.

ივლისში თბილისმა უმასპინძლა ამიერკავკასიის რესპუბლიკების პირველ ჩემპიონატს, რომელშიც 16 მოჭადრაკე მონაწილეობდა. საქართველოს სახელით გამოდიოდნენ ვ. გოგლიძე, ა. სმოროდსკი, ნ. სოროკინი, ა. ებრალიძე, ი. ტალვიკი და ს. აბრამიანი. I-II ადგილები გაიყვეს უკონკურსო მონაწილემ, ლენინგრადელმა ოსტატმა თ. ილინ-ჟენევსკიმ და ახალგაზრდა ბაქოელმა ოსტატმა ვ. მაკაგონოვმა (12-12). 11,5 ქულით ვიქტორი III ადგილზე გავიდა.

ამ შეჯიბრებებმა ცხადყო, რომ ვიქტორ გოგლიძის სახით ქართულ ჭადრაკს საიმედო, დიდი მომავლის მქონე მოჭადრაკე ჰყავდა.

თითქოს ჭადრაკი მთლიანად შთანთქავდა ვიქტორის დროს, მაგრამ არც მუსიკას ივიწყებდა. ხშირად დადიოდა ოპერის თეატრში, სადაც მეგობრებიც გაიჩინა, მათ შორის ცნობილი მომღერალი სანდრო ინაშვილი. უკრავდა ქელტუხინის ცნობილ სასულე ორკესტრში (სხვათა შორის, მერეც, 1933 წლამდე). ზოგჯერ წერდა რეცენზიებს მუსიკალურ ნაწარმოებებზე და გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში" ბეჭდავდა.

ჩვენი საჭადრაკო ცხოვრების მაღალი დონე იზიდავდა მოსკოვისა და ლენინგრადის ცნობილ ოსტატებს პ. რომანოვსკის, თ. დუზ-ხოტიმირსკის, თ. ილინ-ჟენევსკის და ვ. ნენაროკოვს. ისინი ხშირად ჩამოდიოდნენ თბილისში და მათი მონაწილეობით პატარა ტურნირები, მატჩები, საჩვენებელი შეხვედრები იმართებოდა. ვიქტორი თავგამოდებით ეპაექრებოდა მათ და წარმატებებსაც აღწევდა. ყველა გრძნობდა ვიქტორ გოგლიძის ნიჭის გამოსხივებას, მის შემოქმედებით წინსვლას, პრაქტიკული ძალის მომატებას.

— დროა ვიქტორმა სპორტის ოსტატის წოდებისთვის იბრძოლოს, რაშიც ხელი უნდა შევუწყოთ, — უთქვამს მეგობრებისთვის პაოლო იაშვილს. თავისი წადილი მან ვიქტორსაც გაუმხილა.

თ. გიორგაძე.

* * *

სურათზე: ვიქტორ გოგლიძე. გვერდით უზის თბილისის საჭადრაკო ცხოვრების ერთ-ერთი სულისჩამდგმელი დ. სამუშია.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ლელო", № 162.

● კალათბურთი

ხვალ თბილისის სპორტის სასახლეში

იწყება კალათბურთელ ვაჟთა საინტერესო საერთაშორისო შეჯიბრება — ი. გაგარინის მემორიალი. ამ ღონისძიებას უკვე მესამედ მასპინძლობს ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქი (გაგარინის მემორიალი პირველად თბილისში 1972 წელს ჩატარდა, მეორედ — 1981 წელს). ამჯერად სარბიელზე გამოვლენ სსრ კავშირის, აშშ-ის, პოლონეთის, ფინეთისა და საქართველოს ნაკრები გუნდები. კალათბურთის ფუძემდებლების — ამერიკელი სპორტსმენების მონაწილეობა, ცხადია, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ამ შეჯიბრებას.

გაგარინის მემორიალი სსრ კავშირის კალათბურთის ფედერაციის თაოსნობით 1970 წლიდან ტარდება და იმთავითვე შევიდა ოფიციალურ საერთაშორისო ტურნირთა რიცხვში. შეჯიბრებაში, როგორც წესი, ეროვნული ნაკრები გუნდები გამოდიან, თუმცა, ეპიზოდურად ამა თუ იმ ქვეყნის ღირსებას რომელიმე საკლუბო გუნდი იცავს ხოლმე.

გავაცნობთ მემორიალში გამარჯვებულ გუნდებს: I მემორიალი (1970 წელი, მოსკოვი) — სსრ კავშირის I ნაკრები; II (1971, ლენინგრადი) — სსრ კავშირის I ნაკრები; III (1972, თბილისი) — სსრ კავშირის I ნაკრები; IV (1973, ვილნიუსი) — სსრ კავშირის I ნაკრები; V (1974, ტალინი) — სსრ კავშირის I ნაკრები; VI (1976, ლენინგრადი) — „დინამო" მოსკოვი; VII (1978, ვილნიუსი) — სსრ კავშირის I ნაკრები; VIII (1981, თბილისი) — „სპარტაკი" ლენინგრადი.

ქართველი კალათბურთელები სულ 3-ჯერ მონაწილეობდნენ ამ შეჯიბრებაში. VI მემორიალში თბილისის დინამოელებმა II ადგილი დაიკავეს, 1972 და 1981 წლებში კი ჩვენი გუნდი V ადგილზე იყო.

შეხვედრათა განრიგი. **24 აგვისტო.** სსრკ — საქართველო, პოლონეთი — ფინეთი; **25 აგვისტო.** საქართველო — აშშ, სსრკ — პოლონეთი; **26 აგვისტო.** აშშ — ფინეთი, საქართველო — პოლონეთი; **27 აგვისტო.** პოლონეთი — აშშ, ფინეთი — სსრკ; **28 აგვისტო.** ფინეთი — საქართველო, აშშ — სსრკ.

ხვალ შეჯიბრება 18 საათზე დაიწყება.

მორიგი გამარჯვება

ესპანეთის ქალაქ პალმა-დე-მალიორკაში გრძელდება იუნიორ კალათბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატი. საბჭოთა ნაკრებმა დაამარცხა აშშ-ს გუნდი — 87:83 (შეხვედრის ძირითადი დრო დამთავრდა ფრედ — 77:77). ჩვენმა სპორტსმენებმა გაიმარჯვეს დამატებით ხუთწუთიან პერიოდში.

ეს ამერიკელ სპორტსმენთა პირველი მარცხია მიმდინარე ჩემპიონატზე. საბჭოთა ნაკრები ჯერჯერობით დაუმარცხებლად იბრძვის.

ფინალური ჯგუფის დანარჩენი მატჩების შედეგები ასეთია: გფრ — იუგოსლავია 69:65, ესპანეთი — არგენტინა 115:86.

სტარტზე — მოცურავეები

იტალიის დედაქალაქში გრძელდება ევროპის XVI ჩემპიონატი საწყლოსნო სახეობებში. 8 დღის განმავლობაში კონტინენტის 26 ქვეყნის 800-მდე სპორტსმენი გაითამაშებს მედლების კომპლექტებს. ასპარეზობის მთავარ სარბიელად იქცა განახლებული საცურაო კომპლექსი, რომელშიც 1960 წელს ოლიმპიური თამაშების სტარტები გაიმართა. ჩემპიონატზე ჩამოსული მრავალრიცხოვანი სპეციალისტებიცა და ჟურნალისტებიც ერთსულოვნად აცხადებენ, რომ ბრძოლა მიმზიდველი და დაძაბული იქნება. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მოცურავეთა გამოსვლები, რომელთა შორის იქნებიან 5 მსოფლიო რეკორდსმენი, ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონები. როგორც ყოველთვის, უმაღლესი ჯილდოებისათვის ბრძოლა გაიმართება სსრ კავშირისა და გდრ-ს უძლიერეს მოცურავეებსა და აგრეთვე სხვა გუნდების: გფრ-ს, უნგრეთის, იტალიის, ჰოლანდიის წარმომადგენელთა შორის.

იტალიური პრესა დიდ ყურადღებას უთმობს საბჭოთა სპორტსმენებს, განსაკუთრებით ვლადიმერ სალნიკოვის, გამოსვლას. გაზეთი „უნიტა" აღნიშნავს, რომ იგი ვაჟთა ცურვის „უდავო ლიდერია", რომლის აქტივშია 12 მსოფლიო რეკორდი. „პიეზა სერა" წერს: „სალნიკოვი ყველაზე დიდი მოცურავეა საშუალო მანძილებზე ცურვის ისტორიაში. იგი 1977 წლის სექტემბრიდან არც ერთხელ არ დამარცხებულა 1500 მეტრ დისტანციაზე".

თვით მოცურავე კი ამბობს: „400 მეტრზე გამარჯვებისათვის 3 წუთსა და 50 წამზე ნაკლები დრო უნდა აჩვენო". ყველაზე ძლიერ მეტოქედ სალნიკოვს გდრ-ის სპორტსმენი სვენ ლოძიევსკი მიაჩნია.

* * *

10 მეტრიანი კოშკიდან ქალთა ასპარეზობაში გაიმარჯვა 14 წლის საბჭოთა სპორტსმენმა ა. ლობანკინამ — 455,52 ქულა. მეორე ადგილზეა მისი თანაგუნდელი ა. სტასიულევიჩი — 448.56, მესამეზე — გდრ-ის მოხტუნავე რ. ვენცელი — 410,91.

წყალბურთელთა ტურნირში წარმატებით ჩაება სსრ კავშირის ნაკრები გუნდი, რომელმაც შერჩევით შეხვედრებში ზედიზედ სძლია ესპანეთისა და რუმინეთის გუნდებს.

● ბალახის ჰოკეი

ბალახის ჰოკეის ევროპის ჩემპიონატზე, რომელიც მიმდინარეობს ჰოლანდიის ქალაქ ამსტერდამში, მეორე გამარჯვება მოიპოვეს საბჭოთა სპორტსმენებმა. ამჯერად ანგარიშით 3:0 მათ დაამარცხეს ბელგიის ნაკრები.

„ლელოს" შემდეგი ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 25 აგვისტოს.

რედაქტორის მოადგილე
უ. ჭიჭინაძე.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47, 93-97-59; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97 53; ჭადრაკის — 93-97-26; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, 380096, თბილისი — 96, ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის. 29. ИНДЕКС 66435 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 უე 07732